№ 260 დეკემბერი 10, შაბათი — 1888 — დეკემბერი 10, შაბათი 260 №

# ივერია

1877—1888 — სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1888

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და ყველა განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

**ქუთაისში:** ვარლამ ჰილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი

კვირას, 11 დეკემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად

**ალიაქოთი**

კეთილშობილს ოჯახში.

კომედია 3 მოქმედებად.

II

**რევიზორი**

კომ. 5 მოქმედებად გოგოლისა; წარმოდგენილი იქნება 2 და 3 მოქმედება.

**მოთამაშენი:** ქ-ნნი სავაროვისა, მელიქოვისა, თამაროვისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, აწყურელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე

ტფილისი, 9 დეკემბერი

მკითხველს კარგად ეხსომება, რომ ამ წლის დასაწყისში ერთმა მწერალმა ქვეყანას აცნობა ახალი მოძღვრება ქართველის ერის შესახებ. ამ მწერალმა, რომელიც არც მეცნიერად არის ცნობილი და არც სიმართლისა და ჭეშმარიტების მომხრედ, რომელიც მზად არის ყოველი ღონე იღონოს, რათა თავისი გაიყვანოს, ქვეყანას უმოძღვრა, რომ დღევანდელ ქართველთა წინაპარნი მეთერთმეტე თუ მეთორმეტე საუკუნეში საიდგანღაც მოსულან მთეიდგან ერთბაშად და მოულოდნელად და დღევანდელი საქართველო დაუპყრიათო. ამ მწერალმა, რაკი ეს ყოვლად ტყუილი და მეცნიერების წინააღმდეგი აზრი წარმოსთქვა და ნახტომი შეეშალა, თავი ვერ შეიკავა და სიცრუის დაღმართზე დაგორდა. მან გამოაცხადა, რომ ძველნი ივერიელნი და ეხლანდელი ქართველები ერთი და იგივე ერი არ არისო; ივერიელი ძველის-ძველად ცნობილი ერი იყო კავკასიაში და ეხლანდელი ქართველები-კი მთეიდგან მოხეტებულ ხალხის შთამომავალნი არიანო. თამამი და პირ-აშვებული პუბლიცისტი არ დასჯერდა ამ მოსაზრებასა და რათა სულ ერთიანად დაექსასა ჩვენი ერი, გამოაცხადა, რომ ზოგიერთნი დღეს სულ ტყუილად ჰგონებენ და ამბობენ, რომ მეგრელ-იმერელი, გურული და სხვანი ქართველს ერს ეკუთვნიანო. იმათ შორის იმდენი განსხვავებაა, სახელდობრ, ჩაცმა-დახურვაში, რომ შეუძლებელია ერთ ერად მივიჩნიოთო.

როგორც ჰხედავს მკითხველი, იგი პუბლიცისტი თანდათან ედებოდა ღობე-ყორეს და ისეთს რასმე ამბობდა, რასაც არც სამეცნიერო საბუთი აქვს და რაიცა სრულიად ეწინააღმდეგება კავკასიის ისტორიასა და ეთნოგრაფიას და ყველა იმ სწავლულთა და მეცნიერთა აზრს, რომელთაც ცოტად თუ ბევრად შეუსწავლიათ კავკასია და საქართველო. რად მოუვიდა ეს ამბავი ხსენებულს პუბლიცისტს? განა გონება იმდენად არ უჭრიდა, რომ მართალი და ტყუილი გაერჩია და გაესაზღვრა და ნამდვილი და უეჭველი ცნობა ისტორიისა და ეთნოგრაფიისა შეეგნო და შეეთვისა. არა, ამისათვის არც ძლიერი და ღრმა გონება იყო საჭირო, არც დიდი გამჭრიახობა, ხოლო საჭირო იყო გულ-მართლობა, მართლ-მოყვარეობა. მაშ რად მოუვიდა ამ პუბლიცისტს ეგოდენი უგვანო და უსაბუთო ლაპარაკი და რად აიხვია თვალი აშკარა, უეჭველს გარემოებაზე და სცდილობდა სხვებისათვისაც აეხვია; რად არ მოეწონა და არ ჰმოსწონს ის, რომ ქართველებს თავიანთი თავი ერთის მამის შვილებად მიაჩნიათ და თავიანთი ვინაობა არ დაუვიწყნიათ, და რად დაგვედავა მამაშვილობას? მხოლოდ იმიტომ, რომ იგი პუბლიცისტი და იმის მზგავსნი ჭეშმარიტებასა და სიმართლესკი არ ემსახურებიან, არამედ სცდილობენ ჭეშმარიტება და სიმართლე თავისებურად გადააკეთონ, გამოიყენონ და იმსახურონ. საიდგან წარმოსდგება ეგეთი არა-შესაწყნარებელი საქციელი და განზრახვა და რა აიძულებს ზოგიერთს სიმართლის გარყვნასა და წაწყმენდას? ჩვენის აზრით, ამ საქციელის თავი და თავი მიზეზი ის არის, რომ ამ ჯურის ხალხს განზრახვა აქვსთ ჩვენი ერი დაჰქსაქსონ, რა საშუალებითაც უნდა იყოს, და თვალი აუხვიონ იმათ, ვისაც ჩვენი წარსული და აწმყო ყოფა-მდგომარეობა არ შეუსწავლიათ. აი, ეს არის იმისი უმთავრესი მიზეზი, რომ ხშირად გვესმის ხოლმე სხვა-და-სხვა უგვანო მოძღვრება და მოსაზრება კავკასიისა და კავკასიის ერთა შესახებ.

საფიქრებელი იყო, რომ იმ ყოვლად უსაბუთო მოძღვრებას ხსენებულის პუბლიცისტისას გასავალი და ბაზარი არ ექმნებოდა; იმედი იყო, რომ იმის ფეხის ხმას გონებიანი კაცები მაინც არ აჰყვებოდნენ და იგი მოძღვრება იმის თავში ჩაკვდებოდა, ვინც მოიგონა და გამოაქვეყნა, მაგრამ იგი იმედი გაცრუვდა. თურმე იმ პუბლიცისტს თანა-მოზიარენიცა ჰყოლია და ბაზარიც ყოფილა, სადაც აღებ-მიცემობენ ამ ცრუ-მეცნიერებით. ვინ ვის განუზიარა თავისი მოძღვრება, ამ პუბლიცისტმა გაიტანა პირველად ბაზარში თავისი მოძღვრება და სხვებს განუზიარა, თუ თვითონ ესესხა სხვებს, ეს არ ვიცით და არც საცოდნელია და პირველობა ამ საქმეში ვისაც უნდა, იმან დაისაკუთროს; არც ერთი და არც მეორე საცოდნელი არ არის, ხოლო საცოდნელია მიზეზი და სათავე იმ მოძღვრებისა, რაიცა ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოდ.

იმ პუბლიცისტს რომ თანა-მოზიარენი ჰყოლია, მერე იმისთანა თანა-მოზიარენი, რომელთა სრულიად არ შეჰშვენის სხვისის ფეხის ხმის აყოლა, ეს დღეს მეტად აშკარაა. ერთს წიგნში ამოვიკითხეთ, რომ ამა-და-ამ სასწავლებელში ამდენი-და-ამდენი ქართველი მოსწავლე არისო; დანარჩენები-კი კავკასიის სხვა-და-სხვა ტომთა ეკუთვნიანო, მაგალითად, გ უ რ უ ლ ი, ლეკი, უდი, ოსი, ი ნ გ ი ლ ო, ინგუში, ჩერქეზი, მ ე გ რ ე ლ ი და სხვანი. როგორ მოგწონთ, მკითხველო, ასეთი განსაზღვრა კავკასიის სხვა-და-სხვა ტომთა? რა საბუთი უნდა ჰქონოდა ამ ცნობის დამწერს, თუ არ იგი, რომელმაც ზემოდ მოხსენებულს პუბლიცისტს ზედი-ზედ რამდენიმე უგვანო და ყოვლად შეუწყნარებელი აზრი წამოაროშვინა. თუ იმ ცნობის დამწერს განზრახვა ჰქონდა თემობით და ადგილობრივ დაესახელებინა ქართველ მოსწავლეთა რაოდენობა, განა შეუძლებელი იყო სხვაფრივ შეესრულებინა თავისი განზრახვა. განა ეს იგივე აზრი არ არის, რომელსაც ჰქადაგებდა ამ ერთის წლის წინად ხსენებული პუბლიცისტი, როცა ამბობდა, რომ მეგრელ-იმერელი და სხვანი ქართველს ერს არ ეკუთვნიანო?

დასასრულ ვიკითხოთ, რა საჭიროა სიმართლის გადასხვაფერება, თუ არ იმისთვის, რისთვისაც იმავ პუბლიცისტმა გამოილაშქრა სიმართლისა და მეცნიერების წინააღმდეგ?

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ „სიბრძნე ბალავარისა“ სრულიად მზად იქ-

## ფელეტონი

### სამეცნიერო ამბები

**კიდევ წვრილმანი ამბები მეცნიერებისა.—მტრები ხილულნი და არა-ხილულნი!—მტერს მტერი არ დაელევა.—უკეთესი წამალი ამ მტრებთან საომრად.—ზოგი ჭირი მარგებელიაო.—კედლის მიკრობები.—ადვილი და იაფი წამალი ამათ გასაწყვეტად.—კიდევ ახალი ნივთიერება—საქხარინი.—შაქარი და საქხარინი.—შაქარი თუ მარილი?—ნუღარ დავმარილავთ, დავშაქროთ!**

ცოტა წვრილმანი რამ კიდევ მეცნიერებიდამ...

მართლა და იმაზე წვრილმანი რაღა იქმნება, როგორც აი ეს ათას გვარი ჭია-ღუებია, სხვა-და-სხვა პაწია, ხილულნი თუ არა ხილულნი, ცხოველები! დიახ, პაწიები, თვალთ-უხილავნი არიან, მაგრამ ქვეყანა-კი დღეს ამათგან გაჯერებულია...

ადამიანს ყოველთვის უნახავს შეწუხება ცხოველებისაგან, მაგრამ როგორ ცხოველებისაგან?—დიდრონ გარეულ ნადირებისაგან. ადამიანი სასტიკად, მედგრად ეომებოდა ამ მტერს და ზოგან ისე გასწყვიტა, რომ ინგლისში, მაგალითად, დღეს მგელს სანახავადაც ველარ შეჰხვდება ადამიანი. დიახ, თუმცა გვიან, მაგრამ ადამიანმა მაინც გაიმარჯვა და დაამარცხა ბევრი თავისი დაუცხრომელი მტერი, და მხოლოდ ეხლა, როდესაც გამარჯვებულმა გულ-არხეინად გარშემო მიიხედა, დაინახა, რომ ეს გარეული, საშინელი მტერი კიდევ ღვთის წყალობა ყოფილა შედარებით იმ მტერთან, რომელიც დღეს ადამიანს შემოესია. მართალია, ეს ახალი მტერი სულ წვრილ-ფეხობაა, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, რომ წვრილ-ფეხობასთან ომი, ბრძოლა უფრო ძნელია,—ძნელია იმიტომ-რომ ჩუმ-ჩუმად, ქურდულად გეპარებიან, არ იცი, საიდგან და როგორ შემოგესევა.

მართლა და ვინ იცოდა დღემდე, როგორ და საიდამ შემოესივნენ ჩვენს ქვეყანას აი თუნდა ეს ფილოქსერა, ნაცარი, მილდიუ და კიდევ რაღაც ჭია-ღუები, რომელთაც ჩვენი ვენახის-პატრონები ლამის სრულებით ცარიელზე დასხან. თვით საფრანგეთში შეუბრალებელი და საშინელი მტერი მაშინ შეამჩნიეს, როდესაც ვაზი თითქმის სრულიად ამოვარდა...

დღეს, მადლობა ღმერთს, საქმე ცოტა სხვა ნაირად დატრიალდა. მეცნიერებამ, ცოტად თუ ბევრად, ხელი ჩაჰკიდა ამ პაწია და დაუძინებელს მტრებს ადამიანისას. მეცნიერებამ გაიცნო ამ პაწია ცხოველების ვინაობა, ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება და ამ გაცნობას აი რა მოჰყვა: ჯერ ერთი, რომ დღეს შეგვიძლიან ცოდნა არამც თუ მარტო იმისა, თუ რა მტერი გვახვევია თავს, არამედ ზოგჯერ იმისი შეტყობაც შეგვიძლიან, თუ რა ახალი მტერი გვეწვევა, ერთის ან ორის წლის შემდეგ მაგალითად; მეორე კიდევ, რომ მტერს მტერი არ დაელევა თურმე და ბევრს ჩვენს მტერსაც თავისის გვარისა და ჯილაგისავე მტერი ჰყოლია და ერთმანეთსა სჭამენ და ჰხოცვენ.

**

მეცნიერებაში ცნობილია, მაგალითად, შემდეგი საყურადღებო ამბავი. არის ერთი მწერი, რომელიც ძლიერა ჰგავს ჩვენს ცოფის ჭიას. ძლიერ მავნებელია ეს მწერი,—ხშირად მთელს ტყეებს გადაახმობს ხოლმე. რა გაუძლებდა, ან ვინ შეეჭიდებოდა ამ მტერს, რომელიც მილიონობით მრავლდება, რომ მტერი შინვე არ ამოჰჩენოდა. ეს მტერი ისეთივე მწერია, ისევე გაუმაძღარია და ისევე ადვილად და ძლიერ მრავლდება. მტრობა ხომ ამათ შორის საშინელია, ერთმანეთს სისხლს უშრობენ,—ეს-კია, რომ მეორე ყოველთვის სჯობნის პირველს. საკვირველია და შესანიშნავი თვით ღონე, რომელსაც ეს მწერი ჰხმარობს თავისის მტრის ამოსაწყვეტად.

მიეპარება ჩუმად, მეტადრე ისეთს ალაგას, სადაც ჭიები ბლომად არიან შეგროვილნი, მაგალითად ბუდეში, ან ხის ფუტუროში, ნესტარს უჩხვლეტს გვერდში, ნაჩხვლეტში თესლს დაჰყრის და წავა ისევ თავისთვის, თითქოს აქ არაფერიაო... მართლაც-და ეს ისე ჩუმად მოხდება ხოლმე, რომ თვით ნესტარ-ნაკრავი მწერიც-კი ხშირად ვერას შეიტყობს. მაგრამ გაივლის კარგა ხანი, თესლი იხეირებს, გადიქცევა მატლად და,—მწერის მატლი, ხომ მოგეხსენებათ, საშინელი მჭამელია და გაუმაძღარი,—მიჰყვება ჭამას და სრულიად გამოსჭამს გულ-მუცელს, სადაც დაბუდებული იყო. მოიჭამს ამ სახით ერთს მტერს, გამოვა ქვეყნად, თვალს გაახელს, გამოისხავს ფრთებს, დაიწყებს ფრენას და თავისის მტრის ძებნას, რომ თავისს შთამომავლობას ისეთივე ადგილი და საზრდელი მოუმზადოს, როგორიც თითონა ჰქონდა.

ზემოდ ნახსენებ ჭიას სხვა მტერიც ჰყვანდა, ეს, როგორც ეთქვი, მეცნიერებამ კარგა ხანია იცოდა. და აი ესკი დიდის ხნის ამბავი არ არის, რაც მეცნიერებას შეუტყვია, რომ ამ ჭიას სხვა მტერიც ჰყოლია. ეს მტერი ის უხილავი პაწია ცხოველია, რომელსაც ჩვენ მიკრობებს ვუწოდებთ სახელად. ხშირად შეუმჩნევიათ, რომ ამ მწერს ზოგჯერ ჭირივით რაღაც

ნება გასასყიდად ამ თთვის ოცს. სამწუხაროდ, ეს წიგნი ისე ცოტა იბეჭდება, რომ იქნება მსურველთა ნახევარსაც არ გაჰხედეს.

*** ყვავილი საშინლად მძვინვარებს ჩვენის კურთხეულის ქალაქის ზოგიერთს უბნებში. ზოგან ერთსა და იმავე სახლში ზედი-ზედ ეხოცებათ ორ-ორი და სამ-სამი ბავშვი. ამ დღეებში ერთს რკინის გზის მოხელეს სამი შვილი ერთად მოჰკვდომია ყვავილისაგან რკინის გზის საავადმყოფოში სამკურნალოში.

*** საახალწლოდ გამოვა მეტად ლამაზი, სუფთად დაბეჭდილი, კოხტა სურათებიანი საყმაწვილო წიგნი „პირუტყვების ამბები“. ამ წიგნში ჩართული სურათები ამოუჭრია ხეზედ ბ-ნს გ. ტატიშვილს; წიგნი დაბეჭდილია ძვირფასსა და მეტად კარგს, თეთრს ქაღალდზედ. სწორედ სასიამოვნო საახალწლო საჩუქარი იქნება ქართველ ყმაწვილებისათვის ეს პატარა წიგნი.

*** დღეს ჩვენ მივიღეთ „საქართველოს კალენდარი“ 1889 წლისა ბ-ნ ვ. გუნიას მიერ შედგენილი. ბ-ნი გუნია ეს მეორე წელიწადია, რაც ჰბეჭდავს ქართულს კალენდრებს. წრევანდელი დიდი კალენდარი შარშანდელზე ბევრად უფრო ვრცელი და სავსეა და ძალიან იაფადაცა ღირს— სახელდობრ ცხრა შაური. კალენდარში თორმეტი სხვა-და-სხვა განყოფილებაა. გარდა ჩვეულებრივის საკალენდარო ცნობებისა, წიგნში მოქცეულია საისტორიო ცნობები და სალიტერატურო განყოფილება, რომელიც საკმაოდ ვრცელია. წიგნი ლამაზად და საკმაოდ სუფთად არის დაბეჭდილი. ერთი უმთავრესი ნაკლი ამ წიგნისა ის არის, რომ ადგილ-ადგილ ენის უსწორ-მასწორობა ეტყობა, მეტადრე სალიტერატურო განყოფილებაში. ამისდა მიუხედავად უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნ გუნიას კალენდარი კარგად და ვრცლად არის შედგენილი და ამიტომ ფრიად სასარგებლო იქნება ქართველ საზოგადოებისათვის.

*** ჩვენ მოგვივიდა დასაბეჭდად შემდეგი: „ტფილისის მეტეხის პატიმართა წიგნთ-საცავს კიდევ შემოსწირეს წიგნები: 1) სოლომონ იოსების ძემ ციციშვილმა ათი ცალი წიგნი ქართულს ენაზედ; 2) ა. პავლოვმა ათი ცალი რუსულს ენაზედ; 3) წიგნის მაღაზიის პატრონმა გ. ჩარკვიანმა თექვსმეტი ცალი წიგნი, რვა ცალი ანბანი და ოცი ცალი მოძრავი ანბანი დიდის ასოებით; 4) ორი მანეთი ფული კ. ვკ.

მეტეხის ციხის პატიმარნი უძღვნიან გულითადს მადლობას ზემოხსენებულ შემომწირველთ.

*** იმერეთიდგან გვწერენ: ბევრჯელ ყოფილა გაზეთში მოხსენებული, რომ იმერეთში გავრცელებულია აგრედ წოდებული „კლიაუზნიკობა“, სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედება და ურთიერთ შორის დაუნდობლობაო. საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ მოყვარე მოყვარესა და ძმა ძმას ვერა სცნობს. ამის საბუთსაც მოგახსენებთ. ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკმა მამული გაუყიდა ერთს აზნაურს. ეს მამული იყიდა ერთმა გლეხმა, იმ აზნაურის ნათლი-მამამ. გულმტკივნეულმა გლეხმა განიზრახა ნახევარი იმ ადგილ-მამულისა დაებრუნებინა მოყვარე აზნაურისათვის. გლეხმა ერთს „აბლაკატს“ დააწერინა ჩუქების ბარათი. ამ კაცმაც შეუსრულა თხოვნა, მაგრამ ისეთი ბარათი დაუწერა, რომ მთელს ადგილ-მამულზე ხელი აალებინა. როცა გლეხმა დააპირა ნახევარის მამულის დაპატრონება და ნახევრის ჩუქება მოყვრისათვის, მოყვარე აზნაურმა წინ გაიგდო და უთხრა: «აკი მთელი მამული მაჩუქეო!» გლეხმა ეს ძალიან იოცა, მაგრამ გვიანღა იყო. თურმე პირობის დამწერსა და შემდგენელს ბარათში დაუწერია, რომ გლეხი მთელს მამულს აძლევს საჩუქრად აზნაურსაო.

*** შვიდს დეკემბერს, მეცხრე განყოფილებაში, ღამით, ტფილისის მოქალაქემ მიხეილ ვარძელოვმა წაართვა ტფილისისავე მოქალაქეს ავეტიქ კოჩიკოვს ვერცხლის საათი და ძეწკვი. დამნაშავე დაიჭირეს და გამომძიებელს წარუდგინეს.

*** პოლიციას შეუპყრია „კოლეჟსკის სეკრეტრის“ შვილი ალექსი პორფირიევი, 15 წლისა, რომელმაც ამას წინად ექიმის ალექსი პროზოროვსკის სადგურიდგან მოიპარა პალტო და შარვალი.

*** რვა დეკემბერს თავ. ჩოლოყაშვილის სადგურის დერეფნიდგან ვიღაცაც მოუპარავს ქალის თბილი წამოსასხამი, 1,000 მანეთად ღირებული.

## თავადი ურუსბეი

8 დეკემბერს იყო სხდომა სამეურნეო საზოგ დოებაში, სრულებით შემთხვევით დავესწარი ამ სხდომაზე. ჩემი საქმე არ იყო სხდომის მემატიანობა და ნურც მომთხოვს „ივერიის“ მკითხველი დაწვრილებითს ანგარიშს, ვინ რა ილაპარაკა, ვინ უფრო ბევრი იქლისა ენა, ან ვინ უფრო იჭიფხებოდა თავისის მჭევრ-მეტყველებით თავი მოეწონებინა კრების წინაშე. სრული ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა წარჩინებულმა კაცმა, ჩერქეზის თავადმა, ანუ უკეთ ვსთქვათ ჩერქეზთ ბატონთ შთამომავალმა ურუსბეიმ. იმისი მშვიდობიანი მიხვრა-მოხვრა, წმინდა მთიული იერი და ჩაფიქრებული სახე უნებურად იტაცებდა ყველას ყურადღებას. ნახევრად დაშვებული იმისი თვალის უპეები ლაღადებდნენ დიდის ხნით მოლალულს მის ვაჟკაცურს მხნეობაზე. მისი სახე გამომეტყველებდა რაღაც არა-ჩვეულებრივს მწუხარებას. თუ დავრწმუნდებით, რომ სახეა კაცის შინაგანის ბუნების სარკე, მაშინ ურუსბეის სახეზე აჩნდა კვალი ხანგრძლივის შთამოების მწუხარებისა. იგი აღბეჭდდა მამა-პაპურს შინაგანს სულის ვითარებას მთელის ერისას, რადგან თვით იგი სრულის თავისის აგებულებითზედ-მიწევნით წარმოადგენდა ჩერქეზის ერის ტიპსა. ნეტავ რამ მოიყვანა, რამ გასარჯა ეს პატივცემული მთის მთავარი ამ ზამთრის პირად თოვლით შეზვავებული თავისი კუთხე დაეგდო და ჩამოსულიყო ტფილისში? იქნება იმას ჰფიქრობდეს, როგორც ჩვენ წარჩინებულ თავადიშვილებს სჩვევიათ, თავის მდიდარი ადგილ-მამული დააგირაოს, რომ შემდეგ ბანკიდან გამოტანილი ფულით ან ვალები გადაიხადოს, ან მეჯლისებს მოჰყვეს და ან კიდევ საზღვარგარეთ თავისის უთავ-ბოლო ხარჯით უცხო ქვეყნელებს თავი მოაწონოს? ან იქნება ამოსარჩევად აპირობდეს პარტიის გაერთგულებას, ან ეს გძელი ზამთრის ღამეები ბანქოს თამაშში, მაკაოსა და ბაკარას ეშხით ალტაცებული თავისი ბუნება შეამსუბუქოს, ან იქნება კიდევ რაიმე სამძიმო არზა ჰქონდეს თავისიანების ორგულობის შეწამებაზე დასაწერი?.. არა, არა და კიდევ არა. მისი მარტივი მოსაზრება ამისთანა რთულ ცხოვრების მოთხოვნილებას ჯერ კიდევ ვერ მიმწვდარა და თავი ვერ უსახელებია, როგორც ბევრმა დიდებულთაგანმა ლ იხთიმერეთისამ წრეულს თავი ისახელა. ეს სათნო კაცი მოსულა ტფილისში სულ სხვა აზრით, რომელიც ჩვენს წარჩინებულს თავად-აზნაურობას, როგორც დაწინაურებულს წოდებას კავკასიაში, დიდი ხანია მოუნელებია და თავისთვის უკადრისადაც სთვლის. ამ წარჩინებულს ჩერქეზის გვარის შვილს წამოუღია თავის ქარხნის შვეიცარული ყველები და ამასთანავე გამოუყოლებია მოხსენება სამეურნეო საზოგადოებისადმი მიმართული. ნეტავ რასა სწერს ურუსბეი თავის მოხსენებაში?

ჩემი მხარე მთის მხარეა, საძოვრები და სათიბები ბევრიაო. ოთხი ათასი სული კაცი, რომელიც ითვლება ჩემს გავლენის ქვეშ, მომეტებულ ნაწილად საქონლის ნაწარმოებით რჩებაო. ამ ოთხი ათასს სულს სამოცდა-ერთი ათასი სული საქონელი ჰყავს. დღეს თითოეული ძროხა დღეში აძლევს შვიდ გირვანქა რძეს. საშუალოდ რომ იანგარიშოს კაცმა, ამდენს სულს საქონელს თხუთმეტი ათასი მანეთი თუ შემოაქვს წელიწადშიო. მაგრამ რაც ამ საქონელს ნაწველი მოაქვს, ის რომ ყველად იქცეს და შვეიცარიული ყველები აკეთონო, ხალხი წლიურად თხუთმეტის ათასის მანეთის მაგიერად ქქვსას ათას მანეთს მოიგებსო და ამ ნაირი ოჯახობა მალე მოჰფენს კეთილ-მდგომარეობის შუქს ჩვენს მხარესაო. აი, ამ აზრმა გვაფიქრებინა მე და ჩემს ძმას თვით ჩვენის ღარიბ მთის ხალხისთვის მაგალითი გვეჩვენებინაო. ამ საქველ-მოქმედო აზრის სისრულეში მოსაყვანად ჩვენ არავითარი საშუალება არ დავიზოგნიაო. ჩემი ძმა გავგზავნე ოთხის წლით შვეიცარიაში, რომ იქ ყველის კეთება შეესწავლა. ოთხ წელს შემდეგ ის დაბრუნდა სამშობლოში და მაშინვე შეუდგა ყველის საკეთებელ ქარხნის აგებასაო. ჩვენ საერთო საშუალებით მოვერთეთ ეს საქმე და თვით ნაყოფს ჩვენის მოღვაწეობისას დღეს თქვენ თითონ ჰხედავთო. აი, ეს უზარმაზარი დოდო ყველები ჩვენის ქარხნიდგან გახლავთო, გასინჯეთ აბა, თუ გაარჩევთ შვეიცარიის ყველშიო?

ჩვენ ამითი მაინც არ ვათავებთ ჩვენს მოღვაწეობას. ჩვენ გაგვიმართავს შვეიცარიულს წესზე ყველის ქარხანა, ვაკეთებთ შვეიცარულს ყველებს, მაგრამ ეს, როგორც დასაწყისი საქმისა, ხალხის კეთილ-მდგომარეობას მაინც წინ ვერ წასწევსო. ჩვენ გვინდა იქვე ყველის ქარხანაში გავმართოთ იმ გვარი ყველის კეთების სასწავლებელი, რომ მთელმა ჩვენმა ერმა ისწავლოს ეს ხელობა და ყველის კეთების ალებ-მიცემობამ ხალხის კეთილ-მდგომარეობა წინ წასწიოსო. ამ სკოლაში თვით ჩემი ძმა ერთის მხრით იქნება მასწავლებელიც, მუშაც და რიგის მიმცემიცაო.

ამას გვიქადაგებს ჩერქეზის მთავრის შვილი. ეხლა მოვთვალოთ ჩვეეში: რომელნი არიან წარჩინებულნი გვარნი ჩვენის ქვეყნისა, ორბელიანნი, თუ ერისთავნი, შარვაშიძენი, თუ გურიელნი, ან გინდ დადიანნი, რომ ამისთანა საქველ-მოქმედო საქმე ეკისროთ?.. ტყუილად არ არის ნათქვამი: ბარში თუ ჰკუა დაიკარგა, მთაში მოძებნეო.

გ. წერეთელი

## დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბები)

მერვი. ნოემბრის 15 მერვში, ანუ როგორც ძველად ეძახდნენ ქართველები მარავის ქალაქში შეიყარა დიდძალი ცხენოსანი ხალხი თექისა. ამ დღეს ნაშუადღევს, საათის $1^1/_2$, გაიმართა დოღი მერვის გალავანში, სადაც ასპარეზი შემოფარგლული იყო ღელით. სულ 13 რიგობა უნდა გამართულიყო დოღი. ორი ვერსი მანძილი ექმნებოდა ასპარეზს ირგვლივ.

პირველ რიგობაზედ უნდა გაჯიბრებულიყვნენ ჯიგითები, რომელთათვის იყო მერვის მმართველის ბ-5 ალიხანოვისაგან საჩუქრად დანიშნული 70 მანეთად ღირებულნი ნიეთნი: პირველ გამარჯვებულისათვის მანანქრიანი საათი ვერცხლისა, რომელიც ეღირებოდა 40 მან.; მეორესათვის ხალათი ფარჩა-აბრეშუმი-

---

გაუჩნდება ხოლმე და საშინლად იხოცება. ეს ჭირი სწორედ ის მიკრობები ყოფილან, რომელნიც თურმე მიესევიან და მუსრს გაავლებენ ხოლმე.

ასეთი ჭირი მარტო ამ მწერს არა სდევს თურმე უკან. ესევე ჭირი არა ნაკლებ სდევნის და ჰჟლეტს ერთ გვარს თეთრს მატლს, რომელიც დღეს ევროპის მამულის-პატრონებს დიდად აფიქრებს და აღონებს. ამ მატლს დაუზამთრნია და ეშინიანთ, რომ გაზაფხულზე ფრთას შეისხამს, ბევრს ალაგას მოეფინება და მოსავალს გაანადგურებსო.

**

რამდენიმე ღონე კიდეც სცადეს ამ მატლის გასაწყვეტად. ბელგიაში, მაგალითად, ქათმები მიუსიეს ამ მტერს, და ქათმებს, ხომ მოგეხსენებათ, ძლიერ გემრიელ და მარგებლად მიაჩნიათ ასეთი სანოვაგე. ბელგიაში აი როგორ იქცევიან. ქათმები გოდრებით მიჰყავთ სახნავ მიწაში და, გუთანი გაავლებს თუ არა კვალს, ქათმებიც ისე არიან დაჩვეულები, რომ მაშინვე ჩადგებიან კვალში და, რაც-კი მატლი, თუ სხვა ჭია გადაბრუნებულს ბელტს ამოჰყვება, მადიანად შეექცევიან.

ზოგ ალაგას ამისავე გულისათვის მეძებარ ძაღლებსაცა ჰხმარობენ. ესენიც ერთგულად ასრულებენ მინდობილს საქმეს და არა იმიტომ, რომ ვითომ ძალას ატანდეს ვინმე, არა,— თითონაც ძალიან მოსწონთ ეს მატლი და სიამოვნებითაც შეექცევიან თურმე. მანამ ავად არ გახდებიან, ჭამას თავს არ ანებებენ.

ყველა ეს ღონე, რასაკვირველია, კარგი და გამოსადეგია, მაგრამ მაინც ისე ძალიან-კი არა ჰჟლეტს-რა ამ მატლს, როგორც ერთ ნაირი ჭირი, რომელიც ხანდახან უჩნდება ხოლმე. ამ ჭირის მიზეზიც ერთ გვარი მიკრობებია და ეს მიკრობები მეცნიერებას კიდეც აღმოუჩენია. მაშ შეიძლება განგებ ახეირონ ეს მიკრობები, გაამრავლონ და მერე მიუსიონ იმ მატლს, რომლისაგანაც დიდს შიშში არიან.

ეს წამალი ახალი იქმნება და, თუ მართლა ისე იმოქმედა, როგორი იმედიცა აქვსთ, სწორედ რომ მემამულეებს ბევრჯელ დაიხსნის განსაცდელისაგან. ამას ის გვათქმევინებს, რომ იმედი გვაქვს მეცნიერება ამაზე არ შესდგება. თუ ერთს აღმოუჩნდა ასეთი უებარი წამალი, რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მეორესთვისაც იქმნება რაიმე ჭირი, კიდევ სხვა რომელისამე მიკრობების წყალობით.

ასე რომ დღეის იქით ზოგიერთის ჭირის გავრცელება სასურველი იქმნება, თუ კი ეს ჭირი მოგვაშორებს თავიდგან სხვა-და-სხვა მავნებელ მწერებსა და მატლებს.

აბა ამაზე ითქმევა აი, რომ ზოგი ჭირი მარგებელიაო!..

**

ეს არა-ხილულნი ცხოველნი, სხვა-და-სხვა გვარი მიკრობები, გარს შემოგვხვევიან და ისე ფეხს ვერ გადასდგამთ, რომ რაიმე მიკრობები წინ არ დაგხვდეთ. აი სულ დიდი ხანი არ არის, რაც კიდევ ახალი მიკრობი აღმოუჩენიათ, ესრედ წოდებული კედლის მიკრობი. ამ მიკრობს ასეთი სახელი იმიტომ უწოდეს, რომ სწავლულმა ესმარხმა, რომელმაც აღმოაჩინა ეს მიკრობი, პირველად კედელზე იპოვა. ესმარხმა ერთხელ კედელი ჩამოწმინდა დასველებულ ღრუბლითა, ღრუბელი გაწურა და, როდესაც განაწური მიკროსკოპით გასინჯა, უთვალავი მიკრობები შენიშნა,—ერთის ფრჩხილის ოდენა ადგილზე 6 ათასიდამ 17 ათასამდე ჯგუფი დათვალა. მიკრობების სიცოტავე თუ სიბევრე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია კედელი, ე. ი. გალესილია მარტო, შეღებილია წითლად, თუ ქაღალდით არის გაკრული. მიკრობების მეტ-ნაკლებობაზე გავლენა აქვს აგრეთვე იმას, თუ რისთვისა ჰხმარობენ ოთახს, მაგალითად, საწოლად, პურის-საჭმელად, თუ ან იქნება ავადმყოფი ყოფილა.

იმავე ესმარხს შეუნიშნავს, რომ ძირს, ეგრე ერთი-ორის არშინის სიმაღლეზე იატაკიდამ, უფრო მეტი მიკრობებია, ვიდრე ზემოდ, ჭერთან ახლოს. ეს მიკრობებიც, როგორც სხვებიც, თესლსა ჰყრიან, ეს თესლიც, რასაკვირველია, კედელზე რჩება და, თუ გარემოებამ ხელი შეუწყო, ხეიროვს, მიკრობებად გადაიქცევა ხოლმე. ყურადღების ღირსია, რომ იმ ოთახში, სადაც მუდმივ ხალხი სცხოვრობს, გადი-გამოდიან, კარები იღება და ჰაერის მოძრაობაა, თესლი არა რჩება, ან, თუ დარჩა, ვერა ხეირობს.

ესმარხმა მდუღარე სცადა მიკრობების გასაწყვეტად, მაგრამ მდუღარემ მიკრობების თესლი სრულებით ვერ მოაშორა კედელს. ვერც იმ საპკურებელმა წამლებმა გასჭრეს სრულებით, რომლის ხმარებას სამკურნალო მეცნიერება ურჩევს ოთახების გასასუფთავებლად სხვა-და-სხვა მიკრობებისაგან. ერთი იმისთანა წამალი-კი, სახელდობრ ფენოლის სიმჟავე, კარგად მოქმედობს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ამ წამალს ყოველ დღე იხმარებენ.

მაგრამ ყველა ამ წამლებისათვისკი უმჯობნი ერთს წამალს, რომელიც ადვილი საშოვარიც არის, იაფიც და უებრადაც თურმე მოქმედობს. ეს წამალი ახლად გამომცხვარ პურის გულია. ეს პურის გული რომ კედლებს

სა, ღირებოდა 30 მან. სულ სარბენად ორ ვერსამდე იქნებოდა მანძილი. პირველმა წყობამ შემოურბინა წრეს 1 წუთსა და 45 წამზედ.

მეორე რიგობაზედ იყო გასაჯიბრებლად დანიშნული თურქმენ-ვექილთა ტომი. მათთვის იყო დანიშნული ჯილდოდ 60 მან. ღირებულნი ნივთნი. პირველმა აილო ჯილდოდ მინანქრიანი საათი ვერცხლისა 35 მანათისა, მეორემ—ხალათი აბრეშუმისა, რომელიც 25 მ. ღირებოდა. გაირბინეს ორი ვერსი 1 წუთზედ და 40 წამ.

მესამე რიგობაზედ გამოვიდნენ სიჩმაზნი. ჯილდოდ ჰქონდათ დანიშნული პირველისათვის საათი ვერცხლისა სევადიანი, ღირებოდა 30 მანათად, მეორისათვის ზოლიანი აბრეშუმის ხალათი, ღირებოდა 20 მან. გაირბინეს 2 ვერსი 1 წუთ. და 20 წამ.

მეოთხე რიგობაზედ სერახსის სალორებთა ცხენოსანნი გამოვიდნენ გასარბენად. პირველისათვის იყო დანიშნული ჯილდოდ მოდიდო ტუალეტის სარკე ფრაქესი, ხოლო მეორესთვის იყო აბრეშუმის ხალათი. დანიშნული მანძილი—2 ვერსი შემოურბინეს 1 წუთ. და 45 წამზედ.

მეხუთე რიგზედ გამოვიდნენ ფენდის სარიყები. აილეს ჯილდოდ პირველმა მინანქრიანი ვერცხლის საათი, ხოლო მეორემ ზოლიანი აბრეშუმის ხალათი. დანიშნულს მანძილს შემოურბინეს 1 წუთ. და 30 წამზედ.

მეექვსე რიგობაზედ გამოვიდნენ იოლათანის სარიყები. პირველმა ცხენმა აილო საჩუქრად ვერცხლის საათი, მეორემ აბრეშუმის ხალათი. ზემოდ დანიშნულ მანძილს შემოურბინეს 1 წუთ და 40 წამზედ.

მეშვიდე რიგობაზედ გამოვიდნენ თურქმენნი ბაქშის ტომისანი. პირველის ცხენისათვის იყო დანიშნული მინანქრიანი ვერცხლის საათი, მეორისათვის ხალათი აბრეშუმისა. ორი ვერსის გზა გაირბინეს 1 წუთ. და 40 წამზედ.

მერვე რიგობაზედ გამოვიდნენ ბეგთა ცხენოსანნი. პირველმა ცხენმა იოლათანის ბეგისამ აილო დანიშნული ჯილდოდ სევადიანი ვერცხლის საათი, ხოლო მეორემ ფარჩის ხალათი. შემოურბინეს დანიშნულს მანძილს 1 წუთსა და 30 წამზედ.

მეცხრე რიგობაზედ გაიმართა საეროო დოღი. პირველის ცხენისათვის იყო დანიშნული საჩუქრად ორი აქლემი, მეორესათვის ვერცხლის საათი და მესამესათვის აბრეშუმის ხალათი. გასარბენს მანძილს, ორს ვერსს, მოუნდნენ 1 წუთსა და 30 წამს.

მეათე რიგობაზედ გამოვიდა აფიცრობა. პირველმა ცხენმა მე-17 მსროლელთა ბატალიონისამ, რომელზედაც თვით პატრონი იჯდა ეზერჯი, დაიმსახურა ჯილდოდ ერთი საკვერცხე ბადია (судокъ) ექვსის ჭიქით და კოვზებით და «სასუხრე». ეს ნივთები იყო პოლ შურის ვერცხლისა და 40 მანათამდის ღირებოდა. მან გაირბინა 2 ვერსის მანძილი 1 წუთსა და 5 წამზედ. მოცილენი გაშორებით შორს დასტოვა. მეორემ აილო ჯილდოდ ტუალეტის სარკე კამოდისა ფრაქესი.

მეთერთმეტე რიგობაზედ გამოვიდნენ ფეხ-მარდნი და ფეხ-მალნი. ამათ უნდა გაერბინათ ფეხით ნახევარ ვერსამდე. პირველმა აილო საჩუქრად ერთი აქლემი, ხოლო მეორემ—ერთი ვირი. ამათ გაირბინეს დანიშნული მანძილი 7 წუთზედ და 8 წამზედ.

მეთორმეტე რიგობაზედ იყო სახედრებით დაჯიბრება მათში პირველმა სახედარმა ჯილდოდ დაიმსახურა ერთი ვირი, ხოლო მეორემაც აგრეთვე ერთი ვირივე. ამათ გაირბინეს დანიშნული ერთი ვერსი 7 წუთ. და 10 წამზედ.

მეცამეტე რიგობაზედ გამოვიდნენ გასაჯიბრებლად აქლემებით. პირველ აქლემს ჰქონდა დანიშნული საჩუქრად ერთი ვირი და მეორესაც ვირივე. ესენი მოუნდნენ 2 ვერსის მანძილის შემორბენას 9 წუთსა და 8 წამს.

უფრო სასიამოვნო და სასაცილო იყო უკანასკნელი სამი რიგობა დოღისა: ქვეით მორბენალთა, ვირებისა და აქლემებისა.

ხალხი ამ დღეს უფრო ბევრი დაესწრობოდა, რომ ცოტა უამინდობას არ დაეშალა. ამ დღეს ღრუბლიანი დღე იყო და საკმაოდაც ციოდა. ხალხი, რომელიც-კი ამ დღეს დოღში დაესწრო, მომეტებულ ნაწილად სულ შორიდგან მოსული იყო: სამასისა, ორასისა, ასისა, სამოც-და-ათისა და ორმოცის ვერსიდგან.

შარშანდელი დოღი ბევრად სჯობდა წრევანდელს. ამინდიც კარგი ჰქონდა და საჩუქრებიც უფრო ღირებული იყო. მაგრამ ამასაც მოვახსენებ მკითხველებს, რომ როგორც შარშანდელი, ისე წრევანდელი საჩუქრები ერთისა და იმავე კაცის საფასეთაგან იყო დანიშნული, ესე იგი ბ-ნის ალიხანოვისაგან.

ნ—ძე

## უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. თვრამეტს ოქტომბრის უნდა ელაპარაკნა რეიხსრატში ახალ კანონ-პროექტის გამო. ამათში ზოგიერთმა უარი სთქვა და აღარ მოინდომა სიტყვის წარმოთქმა. მაგრამ ვინც ილაპარაკა, იმათ სიტყვიდამაც უმეტესად ის აზრი გამოიყვანეს, რომ ავსტრი-ვენგრიის წარმომადგენელთა უმრავლესობას არაფრად ეჭაშნიკება აუარებელი ხარჯი საომარის სამზადისისათვის და არც გერმანიასთან შეკრული პირობა ეპრიანება. ხალხი გაწყდა, გაწვალდა ამდენის ხარჯითა, ტვირთი აუტანელი შეიქმნა და ჩვენმა შეთოფ-იარაღების სიმძიმემ ლამის ომის უწინარესვე გაგვჭყლიტოსო,—ამბობდნენ რეიხსრატის კრებაზე ორატორები. მაგრამ ეტყობა საქმეთა ვითარება დღეს ისეთია, რომ არავითარი ლაპარაკი არასა შველის ავსტრი-ვენგრიას და ერთხელვე თავდაქანებულს დაღმართზე თავი ეღარ შეუმაგრებია.

— სტარო-ჩეხების მეთაურის დოქტორ რიგერის 70 წლის იუბილეი დიდის ამბით იდღესასწაულეს ჩეხებმა. ოფიციოზური გაზეთი „Fremdenblatt“-იც-კი აჰყვა ჩეხების ხმას და აქო რიგერის საპოლიტიკო ჭკუაგონება, მოხერხება და სიბრძნე. ეჭვი არ არის, რომ რიგერი ამ ბოლოს დროს ერთგული მოყმე და ქვეშევრდომისახელმწიფოსიო,—გამოაცხადა ამ გაზეთმა. აქეს რიგერი აგრეთვე მადიარების გაზეთებმაცა და რამდენიმე წერილი უძღვნეს მოხუცს იუბილიარს მისის 25 წლის საპოლიტიკო მოღვაწეობის გამო. მაგრამ თვით ჩეხელები-კი ერთ-ხმად და ერთობილად არ ჰხარობენ თავიანთის მოხუცის მოღვაწეობის იუბილეის. მლადო ჩეხები ძალიან თავ-დაჭერითა და ენა-კვნეტით იხსენიებენ რიგერის მოღვაწეობას. რამდენადაც მეტად აქებენ ავსტრიისა და ვენგრიის გაზეთები, იმდენად უფრო მეტს სიფრთხილეს იჩენს დასი მლადო-ჩეხებისა, რომელთა ორგანო „Narodni Listy“ ამბობს, რომ დიდებული მოთავე ჩეხელებისა ეხლა ის აღარ არის, რაც უწინ იყო, როცა იგი იძახდა ყველგან უშიშრად და გაბედვით, რომ ჩეხელები არას დროს არ დასცხრებიან, ვიდრე ყველა თავისს საპოლიტიკო და ეროვნულს სურვილს არ გაინხორციელებენო.

იტალია. კრისპის კინაღამ სენატმაც უღალატა და უწყალოდ გაინაპირა იმ რიხიანისა და თავ-გამოდებულის პოლიტიკის გამო, რომელმაც აატეხინა იტალიას ლაშქრობა აბისინიაში, დაამეგობრა გერმანიასთან და რომელმაც დაუახლოვა ეს ქვეყანა ავსტრი-ვენგრიას. არც ერთი, არც მეორე და არც მესამე ამბავი არაფერი სასიამოვნო ამბავია იტალიის ერისათვის. ლაშქრობა და საომარი ხარჯი ძალიან აწუხებს ქვეყანას, რომლის ფინანსები და საეკონომიო მდგომარეობა თითქმის უკიდურესობაშია. ჯერ აქამდე დიდს ხარჯს ეწეოდა იტალია ახლად დაარსებულის სახელმწიფოს ფეხზე დასაყენებლად და ახლა კიდევ ხარჯს-კი არ აკლდება, უფრო ემატება. დღესაც იტალიის მთავრობა ითხოვს 125 მილიონს ლირას საომარ საქმეთათვის, აბისინიაში დაპყრობილის შესარჩენად და ფლოტის გასაძლიერებლად. ჯერ მარტო ეს ამბავია დიდად სამწუხარო და სავალალო ერისა და ქვეყნისათვის. ამას გარდა ერს არც ის მოსწონს, რომ იტალია გერმანიას ჰმეგობრობდეს. ამ მეგობრობამ შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ გვაომოს საფრანგეთთანაო. და მერე ვისთვის არის სასურველი ომი მეზობელ და თითქმის ერთის მოდგმის ერის წინააღმდეგაო? ბისმარკს და საზოგადოდ გერმანიას საფრანგეთის მტრობა აქვს და ჩვენის ხელით-კი უნდა ჰგლიჯოს ნარიო. ავსტრი-ვენგრიაა კიდევ და ჩვენ რა გვაქვს საერთო, ან სამეგობრო ამ სახელმწიფოსთანაო, რომელმაც, ვინ იცის, რამდენს ხანს არმად იუფლა ჩვენს ქვეყანაში და დღესაც რამდენიმე თემი და მაზრა უპყრავს ისევ საკუთარის იტალიისაო.

აი ეს საერთო გრძნობა, ჩივილი და დრტვინვა ერისა იყო მიზეზი, რომ სენატორმა კორტიმ გაუბედა და მოახსენა კრისპის, რომ იტალიის ყოფა აუტანელია და უმწვერვალესი და რა გვეაფრიკება, ან რა გვეაბისინიებაო. კარგია კიდევ, რომ სენატმა 71 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 48-სა, მიიღო მხედველობაში თავის გასამართლებელი საბუთები კრისპისა და მეტად აღარ აუხირდა თავისს მთავარ-მინისტრს.

თვით კრისპიც-კი, როგორც ამბობენ ზოგიერთი გაზეთები, ცოტა არ იყო მოტყდა და უკლო სამკომრო მხურვალებას, რომელმაც ასე გაიტაცა ამ მოხუცებაში. კრისპი თითქო მოუტკბა ბოლოს დროს საფრანგეთსაცა და გერმანიასაც: ისე ერთგულად აღარ ჰმეგობრობს, როგორც აქამდე. იქნება ამისი მიზეზი ის არის, რომ სამთა კავშირს ერთი ბოძი თითქო ერყევა, სახელდობრ ავსტრი-ვენგრია, რომელიც, როგორადაც განზე იწევს და ცალკე ყოფნას აპირობს.

— გაზეთები ლაპარაკობენ, რომ თუ ვინიცობაა ომი ასტყდა და ამ ომში იტალიაც ჩაერია, პაპს განზრახვა აქვს მიატოვოს რომი და სრულიად მოშორდეს დროებით იტალიასაო. ამაზე ვითომ დიდად შეფიქრიანებულა იტალიის მთავრობა და არ იცის, ამ საგონებელს რითი უშველოს, ან საიდამ მოუაროსო. პაპის წასვლა იტალიიდამ მართლა თავის მოქრა იქნება იტალიის სახელმწიფოსათვის და ამას გარდა შეიძლება მისმა გასვლამ იტალიიდგან ბევრი დაბრკოლება და ძნელი საქმე აუჩინოს ქვეყანასაო. იმასაც ამბობენ, ვითომ ამის გამო მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, ვინიცობაა ომი აუტყდა, იტალიის პაპი არსად გაუშვას რომიდამ, შემოარტყას ვატიკანს ჯარები და ყოველი მიწერ-მოწერა პაპისა ასინჯოს სასტიკს ცენზურასაო.

## წვრილი ამბები

«Deutsche Nationales Verlag»-ი ამბობს, რომ ჩქარა დაიბეჭდება დიდი თხზულება პირველ მოგზაურობაზედ იმ-

---

წაუსვათ, მიკრობების თესლი სულ მთლად ჩამოიწმინდება. მხოლოდ ეს კია, რომ ძირს ჩამოცვივნული პურის ნამცეცები უნდა წმინდად მოჰკრიბოთ და ცეცხლში დასწვათ, რადგან ამ ნამცეცებში თესლია და აქაც იხეირებს.

**

კმარა მიკრობებზე. გიამბობთ კიდევ ერთოდ წვრილმანს ამბავს ისევ მეცნიერებიდამ, მხოლოდ ეს წვრილი ამბები შეეხება ისეთს საგნებს, რომელსაც ყოველ დღე ვხმარობთ ცხოვრებაში.

აი ავიღოთ თუნდ ერთი ახალი ქიმიური ნივთიერება, რომელიც ამ ცოტა ხანებში აღმოუჩენია ერთს ამერიკელს ქიმიკოსს, პროფესორს ფალბერგს. ამ ახალს ნივთიერებასაც საქხარინი ჰქვიან სახელად. სახელით, როგორცა ჰხედავთ, შაქარს მიემსგავსება. დიაღ, მხოლოდ სახელით და სახრავით-კი ძლიერ განსხვავდება.

საქხარინი თეთრი, მეტად წმინდა ფხვნილია, ცივს წყალში სრულიად არა დნება და ცხელში-კი ძლიერ ადვილი გასაქნელია. ცეცხლში რომ ჩაჰყარო, ტყვიასავით გალღვება და მწარე ნუშის სუნს აუშვებს.

ხოლო ყველაზე შესანიშნავი თვისება ამ საქხარინისა ის არის, რომ ძლიერ დიდი სიტკბო აქვს: ერთი ნაწილი საქხარინისა 280 ნაწილს ედრება სიტკბოთი იმ შაქრისას, რომელსაც ჩვენ ყოველ დღე ვხმარობთ.

ამ საქხარინს ის ნოყიერება სრულებით არა აქვს, რაც შაქარს. საჭმელში თუ სხვა გვარად რამდენიც გინდა იხმარო საქხარინი, სტომაქს არც არგებს და არც აწყენს. ბევრს შემთხვევაში ეს თვისება საქხარინისა ძვირფასი რამ იქნება, მაგალითად ექიმობაში. რამდენია ისეთი წამალი, რომ სიმწარის გამო ავადმყოფი სტომაქში ვერ ჩაუშვებს ხოლმე. შეიძლება, რასაკვირველია, შაქრით დაალევინონ ასეთი წამალი, მაგრამ ხშირად ისეთი ავადმყოფობაც არის ხოლმე, რომ შაქარიც შესაძლოა მაწყინარი იყოს დ, მაშასადამე იმისი წამალში ჩარევაც შეუძლებელი იქმნება.

თუმცა, როგორც ზემოდა ვსთქვით, საქხარინს შაქრის ნოყიერობა არა აქვს, მაგრამ მაინც დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ბევრგან შაქრის ადგილს დაიჭერს. საქხარინი შაქარზე გაცილებით ტკბილია, და მოდი, გაარჩიე, რომელია ნამდვილი შაქარი და რომელი არა! ამას ნუ დაივიწყებთ, რომ საქხარინის გაკეთება-კი ჯერ თუმცა ძნელია და ძვირფასიც არის, მაგრამ მაინც-კი შაქარზე იაფად დაჯდება.

ამისი მიზეზი აი რა გახლავთ: შაქარი, გეცოდინებათ, შაქრის ლერწმისაგან, ან ჭარხლისაგან მზადდება, და მოგეხსენებათ, რომ მოყვანა ერთისაცა და მეორისაც ადვილი და იაფი არ არის; საქხარინს-კი შავის ნავთისაგან ჰხდიან,—და აბა მიბძანეთ, რა შესადარებელია შაქრის ლერწამი, ან ჭარხალი და შავი ნავთი?!

დღესვე კიდეც არის გამართული რამდენიმე ქარხანა, სადაც საქხარინს ამზადებენ, და თუმცა ძლიერ ძვირია,—გირვანქა 20 მანეთი ღირს, მაგრამ შაქარზე-კი მაინც დღესაც იაფია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 280-ჯერ უფრო მეტად ტკბილია, და, მაშასადამე, იქ, სადაც შაქარი, ვსთქვათ, ერთი გირვანქა უნდა ვიხმაროთ, საქხარინი სულ ნასამედი თუ ნაოთხედი მისხლისა მოუნდება.

ამ სახით, საქხარინი დიდს ცვლილებას მოახდენს შაქრის წარმოებაში და შესაძლებელია, სრულიადაც განდევნოს შაქარი.

**

მაგრამ არა. შაქარს ასეთი უწუვეშო მერმისი არ მოელის. თუ შაქარს კვალში ჩასდგომია საქხარინი და გაძევებას უპირებს, თვით შაქარიც სხვას ეჯიბრება და ცუდს საქმეს უქადის. იცით მერე ვინ არის ის, ვისაც შაქარი ჯიბრში ჩასდგომია?—მარილია, ის მარილი, ურომლისობას ვერც-კი წარმოვიდგენთ! და დიაღ, სწორედ აი ამ მარილის ადგილის დაჭერას აპირებს შაქარი! თქვენ ხუმრობად მიიღებთ და ამ საქმის უკეთ მცოდნე მეცნიერნი-კი ამას ნამდვილად გვეუბნე იან. გვეუბნებიან, რომ მარილში ნამყოფი ხორცი, მაგალითად, გემოსაცა ჰკარგავს და ნოყიერობასაცაო. ქიმიური გამოკვლევა მარილ-წყლისა, რომელშიაც ხორცი კარგა ხანს დებულა, აშკარად გვიჩვენებსო, რომ ხორცის ნოყიერი და მარგებელი ნაწილები მომეტებულად წყალში დარჩენილაო. შაქარი! შაქარი სულ სხვაა! ფხვნილი შაქარი წყალში ისე ძლიერ არა დნება, როგორც მარილი, ამიტომაც შაქარ-წყალი ისე მაგრად არ გაუჯდება ხორცს, როგორც მარილ-წყალი. ეს არის იმისი მიზეზიც, რომ შაქარ-წყალი მარილ-წყალივით არც გემოს უკარგავს ხორცს, არც ნოყიერობას...

მაშ შორს მარილი და გაუმარჯოს შაქარს! შორს სიმლაშე და გაუმარჯოს სიტკბოებას! ნუღარ დავმარილავთ,—დავშაქროთ! საჭმელს ნუღარ დავამლაშებთ,—დავატკბოთ!..

იქნება მაშინ დღევანდელი ჩვენი დამლაშებული ცხოვრებაც დატკბეს?!..

დონ-იაგო

პერატორის ვილჰელმისა პეტერბურგსა, სტოკჰოლმსა, ვენასა და რომში. ამ წიგნის ტექსტსა სწერს თურმე ადალბერგ ფონ-გაპშტეინი, ხოლო სურათები-კი დაუხატავს მხატვარს ზალცმანს, რომელიც იმპერატორთან ერთად დამოგზაურობდა.

— გიოტეს „ფაუსტი“ გადაუთარგმნიათ ბერძნულს ენაზედ და დაუბეჭდიათ ათინაში.

— მეორე წიგნი რენანის თხზულებისა „ისტორია ისრაილის ერისა“ უკვე იბეჭდება თურმე პარიჟში და იანვარში გამოვა.

— მოგვყავს რიცხვები, რომელსაც, ვგონებთ, ახსნა და განმარტება აღარ ეჭირება. ეს რიცხვები აღმნიშვნელია იმისი, თუ რომელს ერში რამდენად არის გავრცელებული წერა-კითხვის სწავლა. წერა-კითხვის არა-მცოდნეთა რიცხვი შემდეგს პროცენტს შეადგენს საზოგადო მცხოვრებთა რიცხვისას: რუსეთსა, რუმინიასა და სერბიას 80 პროცენტამდე, ისპანიას—63, იტალიას—48, ვენგრიას—43, ავსტრიას—39, ირლანდიას—21, საფრანგეთსა და ბელგიას—15, ინგლისს—13, ჰოლანდიას—10, ამერიკის შეერთებულს შტატებს—8, შოტლანდიას—7, შვეიცარიას—$2^1/_2$, საერთოდ გერმანიის იმპერიას—1. ბავარიასა, ბადენსა, ვირტემბერგსა, დანიასა და შვეციაში-კი არ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომ სწავლისათვის საჭირო წლოვანებას იყო გადაცილებული და წერა-კითხვა-კი არ იცოდეს.

— გენერალის ბულანჟეს და იმისის მეუღლის განქორწინების შესახებ გაზეთი „Paris“-ი ამბობს, რომ ამის გამო „Figaro“-ს მიერ გავრცელებული ამბები ჭორიაო, განგებ შეთხზული და არ დაიჯერებაო. „Paris“-ი ამბობს: გენერალმა სასამართლოში განქორწინების მიზეზად ის გარემოება გამოაცხადა, რომ ქ-ნი ბულანჟე უარს არის და ოჯახის კერას არ უბრუნდებაო. ნამდვილად-კი აღმოჩნდა, რომ, ცოლს-კი არა, თითონ ქმარს არ უნდა თურმე ცოლი, არ იკარებს და იმას იმიზეზებს, რომ ჩემი ცხოვრება ეხლა სხვა ნაირად დატრიალდა, ბევრი თავში სახელმწიფო საქმე მაქვს და ისე ველარ ვიცხოვრებ, როგორც აქამდე ვცხოვრობდითო. დიახ, ქ-ნი ბულანჟე წინააღმდეგია განქორწინებისა და ამის გამო ბ-ნს გენერალს ვერავითარიმე სასამართლო ვერ განათავისუფლებს ჰიმენეის ბორკილებისაგან.

# დეპეშა

8 დეკემბერი

იალტა. აქ ჩამოვიდა დედოფალი ნატალია.

ლონდონი. სუაკიმიდგან იუწყებიან დეპეშით, რომ გენერალმა გრენფილმა დაამარცხა მეამბოხენი და წაართვა სიმაგრე. მეამბოხეთ დაჰკლებია ათასზე მეტი კაცი.

პარიჟი. სენატში მემარჯვენეთა დასის წევრმა შალემელმა სასტიკად გაჰკიცხა რადიკალური პოლიტიკა კაბინეტისა და ურჩია თავისს დასს ზომიერ რესპუბლიკელთა შეუერთდითო სამშობლოს საკეთილდღეოდ. ამ სიტყვას დიდის ალტაცებით მიეგებნენ. შალემელს პასუხი გასცა ფლოკემ. ფლოკეს სიტყვამ ზედმოქმედება ვერ იქონია მსმენელებზე. დასასრულ ფლოკემ სთქვა, რომ, თუ საჭირო იქნება, მოვითხოვ განსაკუთრებულს საკანონ-მდებლო უფლებას ამ დასთან საბრძოლველად, რომელიც საზოგადო მშვიდობიანობას ძირს უთხრისო.

9 დეკემბერი

პარიჟი. სამინისტროს გაკიცხვას შალემელის მიერ არავითარი შედეგი არ მოჰყვა. ის აზრი, რომ შალემელის სიტყვა დაბეჭდონ და გამოაცხადონ ყველა თემებში, რაიცა იქნებოდა აშკარა დემონსტრაცია სამინისტროს წინააღმდეგ, უარ-ყოფილ იქმნა და სენატი ხელ-ახლავ შეუდგება ბიუჯეტის განხილვას.

ლონდონი. რადგანაც ზანზიბარში ხშირად სჯიან კაცებს სიკვდილით, ამიტომ იქაურმა ინგლისელმა კონსულმა აცნობა სულთანს, რომ ინგლისი სასტიკს ზომებს იხმარს, თუ ვინიცობაა სულთანი არ მოსპობს სიკვდილით დასჯას.

პეტერბურგის ბირჟა, 7 დეკემბ.

| | მყიდველნი (მან. კ.) | გამყიდველნისა (მან. კ.) | გაყიდულნისა (მან. კ.) |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 87 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 157 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 18 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 272 |
| —მეორისა | $243^1/_2$ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

დეკემბერი 31 დღით არის.

10 დღე შაბათი. მოწ. მინასი, ჰერმოგენისა და ევგრაფისა. კათოლ. წმ. მელქისედექისა. მაჰმად. მე-19 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—გარდაიცვალა ივანე ანდრიას ძე კრილოვი, რუსეთის იგავ-არაკთა მთხზველი, 1844 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 7—25, ჩადის 4—34. მთვარე 20 დღისაა.

11 დღე კვირა. წმ. დანიელისა და ლუკასი. კათოლ. წმ. ვიქტორისა. სომეხ. წმ. იაკობისა. მაჰმად. მე-20 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 7—25, ჩადის 4—34. მთვარე 21 დღისაა.

12 დღე ორშაბათი. ეპ. სპირიდონისა და ალექსანდრესი. კათოლ. წმ. კონსტანტინესი. სომეხ. 1-ლი დღე წმ. იაკობის მარხვისა. მაჰმად. მე-21 დღე თვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 7—25. ჩადის 4—35. მთვარე 22 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | $3^1/_2$ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 | „ |
| ღორის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |

# განცხადებანი

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი.

Huste-Nicht

Gerichtl. geschützt

„ნუ ახველებ“

თაფლ-ბალახიანი-მალც-ექსტრაქტი და კონფეტები

ლ. გ. პიტშისა და ამხ. ბრესლავლში.

იხმარება წინააღმდეგ ხველისა, ხმის წასვლისა და ყელისა და გულის ავადმყოფობისა.

ხმარების რიგი და წესი:

დ-რმა მიხაელისმა med. praet. დაჰპნიშნა ბავშთათვის 3—4-ჯერ დღეში თითო ჩაის კოვზი, ხოლო უფროსებისათვის ჰხმარობენ ყოველ დღე 4—6 ჩაის კოვზს ექსტრაქტს.

კონფეტების ამ თავითვე ხმარებით შეიძლება საშემდეგოსოდ აიცილოს ადამიანმა ხველა, ხმის წასვლა და ყელის გაცივება.

ქიმიკურ ანალიზითა და სამკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის. ამ წამლების რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.

ფასი: ბოთლი ჰღირს 1 მან. 25 კაპ. და 2 მან. 40 კაპ.

კონფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის იმყოფება გ. აურიხთან ს.-პეტერბურგს.

ისყიდება აგრეთვე რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით ვაჭრობის კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტიროზოვთანა და ა. პოპოვთან.

(17—5)

მიიღება ხელის-მოწერა 1889 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემსზედ“

და რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოსციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივ ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი, კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთ ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათის მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსულის გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა, არის: 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო „მწყემს“-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა, და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართულის გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობასა და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | «მწყემსი» | 5 მ. |
| — | „ | ორივე გამოცემა | 6 „ |
| — | „ | რუსული | „ 3 „ |
| 6 | თვით | «მწყემსი» | 3 „ |
| — | „ | ორივე გამოცემა | 4 „ |
| — | „ | რუსული | „ 2 „ |

რედაქცია იმყოფება ქ. თბილისში, ბალის ქუჩაზე, მარქაროვის სახლებში.

რედაქციას აქვს კანტორები: ქ. ქუთაისში, ხანანაშვილების სახლებში, და დ. ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც რედაქციაში, ისე კანტორებში.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: Въ Квирилу, въ контору редакціи „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან | „ | 40 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა | „ | 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა | 1 | „ |

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავში

## საქართველოს კალენდარი

## 1889 წლისა,

შედგენილი და გამოცემული კალ. გუნიას მიერ.

ფასი ცრსა შაური.

ეს წიგნი შეიცავს 600 გვერდს, კარგად მოზრდილია და შიგ მრავალ გვარი ცნობებია მოქცეული. წიგნი დაყოფილია თორმეტ განყოფილებად და ყველა განყოფილების დასაწყისში დაწვრილებით მოხსენებულია განყოფილების შინაარსი და სარჩევი.

ვინც 50 ცალს გამოიწერს, იმას დაეთმობა თითო წიგნი 35 კაპეიკად. წიგნი ისყიდება ქუთაისსა და ფოთში, ბათუმსა და გორში, თელავსა და სიღნაღში, ხონსა და ოზურგეთში და სხვა ადგილებშიაც. (10—1)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 › | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 › | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 › | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 › | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 › | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

Доз. ценз. Тифлисъ 9-го Декабря 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე